საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/168 "5" ოქტომბერი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის სარემონტო სამუშაოების განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა 2021 წლის 23 სექტემბრის №06-8763 წერილით მომართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. წერილში აღნიშნულია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული შენობის მე-4 სართულზე მდებარე ოთახების ჭერის ტექნიკური მდგომარეობის დასადგენად (ვინაიდან ჭერს აღენიშნებოდა ვიზუალური დეფექტები და ბზარები) საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიმართვის საფუძველზე სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის მიერ შესწავლილ იქნა ყველა ოთახის ტექნიკური მდგომარეობა. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, საშუალო სიმძიმის (ჭერის გადახურვის ფილის ზოგიერთ უბანზე გაჯით ნალესი მოცილებულია) მდგომარეობაა 13 ოთახში, რის გამოც აუცილებელია კონკრეტულ ოთახებში განხორციელდეს ნალესის დემონტაჟი, ამასთან, მსუბუქი კონსტრუქციით ჭერზე მოეწყოს „ამსტრონგის" ფილები, ხოლო რიგელები შეიფუთოს თაბაშირ-მუყაოს ფილებით და შეიღებოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს №239 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სარგებლობაში გადაცემული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ან დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების ამ ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ აღნიშნული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის წესის" მე-3 მუხლის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელოს ზემოაღნიშნული სარემონტო სამუშაოები.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი